სახვითი ხელოვნების დაპარტამენტი N604



. https://www.facebook.com/xatvisdepartamenti/

არქიტექტურაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ხაზს, ფერსა და ფორმას. აქედან გამომდინარე, არქიტექტურის ფაკულტეტზე, მისი დაარსების დღიდან, ისწავლება სახვითი ხელოვნების სამი დარგი: ხატვა, ფერწერა და ქანდაკება. დიდი მოაზროვნის დენი დიდროს გამონათქვამი: "არ ენდოთ არქიტექტორს რომელმაც არ იცის ხატვა" კარგად აქვთ გაცნობიერებული არქიტექ-ტურის ფაკულტეტზე. ხატვა–როგორც სავალდებულო საგანი, არქიტექტურული განათლების პირველ–მეორე წელს (სამი სემესტრი), ხოლო ფერწერა და ქანდაკება მეორე კურსის თითო სემესტრს მოიცავს.



სახვითი ხელოვნების მიმართულების დანიშნულება – სტუდენტის მხატვრული აზროვნების განვითარებაა. ამ საბაზისო სახვითი კომპეტენციების მისაღებად აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კურსის გავლა, პროფესიული ჩვევების გამომუშავება, ხაზის, პლასტიკის, ფერის, კომპოზიციის, პროპორციისა და მასშტაბისა შეგრძნება, მხატვრულ-შემოქმედებითი აზროვნების განვითარება, რაც მომავალი არქიტექტორის პროფესიონალად ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი წინაპირობაა.

ხატვის, ფერწერისა და ქანდაკების სასწავლო კურსების ათვისების შემდეგ, სტუდენტს შეუძლია ხაზის, ფორმისა და ფერის საშუალებით, სწორად აღიქვას სივრცეში არსებული საგნების მოცულობა, მასშტაბი, ფაქტურა, ფერი. შეუძლია თავისი იდეები მარტივად გადმოიტანოს ქაღალდზე, აითვისოს ჩანახატის კულტურა, არქიტექტურული ჩანაფიქრი გაიაზროს მხატვრულად და შემოქმედებითად მიუდგეს პროექტის განხორციელებას.

ხატვა არის დისციპლინა, რომლის დახმარებით სტუდენტები ფანქრის ან სხვა სახატავი საშუალებების გამოყენებით, სივრცეში არსებული, მოცულობითი საგნების სიბრტეზე გამოსახვას სწავლობენ. ხატვის უნარ-ჩვევები მომავალ არქიტექტორებს უვითარებს ვიზუალურ აღქმას და მოცულობით-სივრცობრივ აზროვნებას უყალიბებს. საბოლოოდ, კი სტუდენტმა უნდა შეძლოს ჩანაფიქრის, იდეის გადმოცემა ჩანახატის საშუალებით და გადაწყვიტოს სხვადასხვა პრაქტიკული და მხატვრული ამოცანები. ხატვის კარგი აკადემიური ცოდნით სტუდენტი ადვილად იმორჩილებს ხელს, ხატავს ესკიზს, სწორად აანალიზებს სივრცეს, პერსპექტივას, ინტერიერს, ექსტერიერს. ძირითადი ყურადღება ექცევა ჩანახატების კეთებას რაც აყალიბებს კომპოზიციის სწრაფად აღქმის უნარს. ჩანახატის კულტურა ეხმარება სწრაფად იაზროვნოს სივრცეში, მოახდინოს ლაქობრივი და ხაზობრივი ეფექტების სწორად დალაგება. ამისათვის მიზანშეწონილია შერეული ტექნიკით მუშაობა.

ფერწერის სასწავლო კურსის ათვისებით, სტუდენტი შეძლებს ფერისა და ტონალობის საშუალებით სწორად აღიქვას სივრცეში არსებული საგნების მოცულობა. მათი ფაქტურის გადმოცემა. საგანი ითვალისწინებს აკვარელის (წყლის) საღებავებით ფერწერის ტექნიკის საფუძვლების დაუფლებას და ამისათვის საჭირო უნარ–ჩვევების გამომუშავებას, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს შერეული ტექნიკით, შემოქმედებითად იმუშაოს ესკიზებსა და პროექტებზე. აკვარელით ფერწერა არქიტექტორებისათვის წარმოადგენს საბაზო ტექნიკას, რადგან ძირითადად ამ მასალაში სრულდება მათი სპეკკომპოზიციები.

ქანდაკება, როგორც სახვითი ხელოვნების პლასტიკურ-გამომსახველობითი დარგი ხელს უწყობს სტუდენტის სივრცითი აზროვნების განვითარებას. მყარი ან პლასტიკური მასალების - ლითონის, ქვის, თიხის, ხის, თაბაშირის საშუალებით მომავალი არქიტექტორებს ფორმების მოცულობაში წარმოჩენის უნარი გამოუმუშავდებათ. ფორმის კულტურა საშუალებას იძლევა სტუდენტმა სივრცეში დაინახოს მოდელი იმ მასშტაბით, რაც ობიექტის რეალობას გამოხატავს.

ქანდაკების კურსის ათვისების შემდეგ, სტუდენტი შეძლებს სწორად აღიქვას სივრცეში არსებული საგნების მოცულობა. თავისი ხელით გამოძერწოს და მოცულობაში, ვიზუალურად დაგვანახოს არქიტექტურული ფორმები.

სტუდენტებმა უნდა იმუშაონ სხვადასხვა მასალაში (პლასტელინი, თიხა, თაბაშირი).

სხვადასხვა დროს სახვითი ხელოვნების კათედრაზე მუშაობდნენ ცნობილი მხატვრები; ჰენრიხ ჰრინევსკი, შალვა მამალაძე, გიორგი სესიაშვილი, ლადო ცაგარელი, ოთარ სეხნიაშვილი, ირაკლი ოჩიაური, ლევან ცუცქირიძე, კიმი ტაბატაძე, თენგიზ ჯაფარიძე, გივი ყანდარელი, დემნა ბაქრაძე, მურმან მიქაბერიძე, ლეილა ჩოხელი, რობინზონ ჩოჩელი, ალექსანდრე ნაზარიშვილი, ლ. როდკევიჩი, დიმიტრი ცუცქირიძე, ლეილა შელია, ნინო ციციშვილი, ბუბა ოჩიაური, მამუკა ჭყოიძე, გიორგი ჩაჩანიძე, ნიკა გაბუნია და სხვები. მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მომავალ არქიტექტორთა მთელი თაობების მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარების მნიშვნელოვან საპატიო საქმეში.

დეპარტამენტში დღეს მუშაობენ; მოწვ. პროფ, მაია სეხნიაშვილი, უფრ. მასწ. მაკა გოცირიძე, მოწვ. ასოც. პროფ. დავით ტაბატაძე, მასწ. რუსუდან ბულია, უფრ. მასწ. ლალი თოიძე, უფრ. მასწ. ეკა ცინდელანი, მასწ. ბიძინა ქავთარაძე, მასწ. გიორგი ცინცაძე, უფრ. მასწ. მაკა ჟღენტი, უფრ. მასწ. გია ამირანაშვილი, უფრ. მასწ. ქეთევან გაგოშიძე, ლალი ქუთათელაძე, რევაზ ხასია, ლიკა კერვალიშვილი, მ. ჩოფიკაშვილი, უფრ. სპეც. ზ. პაპელიშვილი,

დეპარტამენტის პროფესორ მასწავლებლებს ბევრჯერ ჰქონდათ წარმატებული ინდივიდუალური თუ ჯგუფური გამოფენები. ასევე სისტემატიურად ეწყობა სტუდენტების ნახატების, ჩანახატების,

ფერწერული ნამუშევრების და ქანდაკებების გამოფენები.

წლების განმავლობაში ტარდებოდა საზაფხულო პრაქტიკა, რომლის დროსაც სტუდენტები ეცნობოდნენ სხვადასხვა კუთხის კულტურულ მემკვიდრეობას, ხუროთმოძღვრობის ნიმუშებს, შემორჩენილ ციხე-კოშკებსა და ეკლესია-ნაგებობებს, (რომელთა დიდი ნაწილი აღარ არსებობს და მხოლოდ არქიტექტორების ჩანახატების სახით შემოგვრჩა) ძველი და ახალი ესთეტიკის სინთეზს, აკეთებდნენ ჩანახატებსა და ეტიუდებს (ფერში). ეს პროცესი ხელს უწყობდა სტუდენტებში გემოვნების ჩამოყალიბებას, რაც ეხმარებოდათ შემდგომ პროფესიულ საქმიანობაში.

https://www.facebook.com/xatvisdepartamenti/

სახვითი ხელოვნების დეპარტამენტის უფროსი: მ. სეხნიაშვილი